

დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტის თავისებურებანი ქართული  
სამართლის მიხედვით

სოფიკო გუჯაბიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის  
სკოლის ფაკულტეტზე კერძო (ბიზნეს) სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის  
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

კერძო (ბიზნეს) სამართალი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: დავით ქოჩიაშვილი, (სამართლის დოქტორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

## განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგასტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნაწარმოებს და არ შეიცავს სხვა ავტორების მირ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სოფიკო, გუჯაბიძე, / ს. გუჯაბიძე /1.07.2019.

## აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტის ის თავისებურებანი, რომლებიც ქართულ სამართლებრივ სივრცეში წარმოიშობოდა, კერძოდ, ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებსა და მის შედეგებთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც დაზღვევის ხელშეკრულების ბუნებაზე ახდენს გავლენას. გარდა ამისა, ნაშრომში საუბარია დაზღვევის შეწყვეტის იმ ფორმების შესახებ, რომლებიც საგამონაკლისო შემთხვევებს წარმოადგენენ.

ნაშრომის მიზანი იყო, განეხილა დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლების დადებითი და უარყოფითი მხარეები, წარმოეჩინა ის ასპექტები, რომლებიც მოსამართლეთა მიერ სასამართლო პრაქტიკაში გამოიყენება. გარდა ამისა, ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში არსებული დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტისა და ხელშეკრულებიდან გასვლის საკითხების შესახებ მოსაზრებათა წარმოჩენა.

წინამდებარე ნაშრომში კვლევა ჩატარდა შედარებით სამართლებრივი და მიმოხილვითი მეთოდით. იგი დაეფუძნა ქართულ კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკის შედარებით ანალიზს.

კვლევის შედეგად გამოვლინდა დაზღვევის ხელშეკრულებების შეწყვეტისას წარმოშობილი პრობლემები, რომლებიც გამოიხატება ინფორმაციის მიუწოდებლობის და კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევაში.

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს პირველ კვლევას, რომელშიც სიღრმისეულად არის აღწერილი დაზღვევის ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგების გავლენა მის ბუნებაზე.

**ძირითადი საძიებო სიტყვები :** დამზღვევი, მზღვეველი, სადაზღვევეო შემთხვევა, დაზღვევის ხელშეკრულება, ინფორმაციის მიწოდება, ხელშეკრულების შეწყვეტ

## Abstract

The paper deals with the peculiarities of termination of the insurance contract that arise in the Georgian legal sphere, in particular the grounds for termination of the contract and the problems related to its effecting the nature of the insurance contract. In addition, the paper deals with the forms of termination of insurance that represent exceptional cases.

The purpose of the work was to review the advantages and disadvantages of the grounds for termination of the insurance contract, to demonstrate the aspects that are used by judges in court practice. In addition, the purpose of the work is to present the opinion of the termination of insurance contract existing in Georgian legal literature, its invalidation and the issues of withdrawal from the contract.

In the present work the research was conducted with a relatively legislative and revising method. It was based on comparative analysis of Georgian legislation and court practice.

As a result of the research, the problems arising during the termination of insurance contracts were revealed in the violation of principles of good faith and provision of information.

The present work is the first study in which the impact of the termination of the insurance contract and its nature is reflected in.

**Keywords:** Insurer, insured, insurance case, insurance contract, supply of information, termination of the contract.